

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       |            |            |            |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 106924     | 35325      | 11553      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 258511     | 369358     | 102048     |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 214584     | 214584     | 214584     |
| მარაგები                                                                                    | 2730967    | 2639702    | 1837851    |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                                                        | 2730967    | 2639702    | 1837851    |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 0          | 0          | 0          |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0          | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0          | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0          | 0          | 0          |
| გუდვილი                                                                                     | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 8298       | 9388       | 7157       |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 149171     | 170678     | 143743     |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0          | 0          | 0          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0          | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                                                                | 3468455    | 3439035    | 2316936    |
| ვალდებულებები                                                                               |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 394898     | 601446     | 333866     |
| ანარიცხები                                                                                  | 0          | 0          | 0          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 0          | 0          | 0          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0          | 0          | 23473      |
| გამომუშავებელი შემოსავალი                                                                   | 0          | 0          | 0          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 121390     | 70000      | 350300     |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 2131990    | 1771430    | 1156088    |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 7479       | 731        | 6751       |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 2655757    | 2443607    | 1870478    |
| საკუთარი კაპიტალი                                                                           |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0          | 0          | 0          |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0          | 0          | 0          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 812698     | 995428     | 446458     |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0          | 0          | 0          |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0          | 0          | 0          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 812698     | 995428     | 446458     |

|                                        |         |         |         |
|----------------------------------------|---------|---------|---------|
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 3468455 | 3439035 | 2316936 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები              | 3310986 | 3258968 | 2166037 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები         | 316288  | 678861  | 714389  |

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:




| საქმიანობის შედეგები                                                                                                              |            |            |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საქმიანობის შედეგები                                                                                                              | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| ნეტო ამონაგები                                                                                                                    | 4565072    | 4683059    |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                               | 4560290    | 4678970    |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                                            | 4782       | 4089       |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                      | 0          | 0          |
| სხვა                                                                                                                              | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                                         | -3943744   | -3562937   |
| საწყისი მარაგები                                                                                                                  | 0          | 0          |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                | 0          | 0          |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                                         | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                  | 0          | 0          |
| საერთო მოგება                                                                                                                     | 621328     | 1120122    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                                                        | 0          | 0          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                          | -390480    | -306611    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                                        | -25621     | -27547     |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                                             | 0          | 0          |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                                  | -88544     | -65087     |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                      | -176186    | -130292    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                          | -123227    | -41615     |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                                            | -804058    | -571152    |
| საოპერაციო მოგება                                                                                                                 | -182730    | 548970     |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                                                            |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                | 0          | 0          |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                          | 0          | 0          |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                        | 0          | 0          |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                                    | 0          | 0          |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                              | 0          | 0          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                                           | 0          | 0          |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                                          | -182730    | 548970     |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                                         | 0          | 0          |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                                                            | -182730    | 548970     |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                                                          |            |            |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       | 0          | 0          |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0          | 0          |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                            | 0          | 0          |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | -182730    | 548970     |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | 995428     | 446458     |

|                                                                                                                        |        |        |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------|
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0      | 0      |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                         | 0      | 0      |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                  | 0      | 0      |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                              | 0      | 0      |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                         | 812698 | 995428 |

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              |            |            |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 3975209    | 2331284    |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -3903610   | -2307512   |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0          | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 71599      | 23772      |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0          | 0          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 35325      | 11553      |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 106924     | 35325      |

დირექტორი :

მთ. ბუღალტერი:



## შპს მეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მპს მეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## სარჩევი

|                                                                                   |     |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----|
| სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 2   |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                  | 3   |
| სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....           | 4   |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                   | 5   |
| 1. კორპორატიული ინფორმაცია .....                                                  | 5   |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                                     | 5   |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                             | 6   |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....                          | 9   |
| 5. შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან .....                                        | 9   |
| 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                        | 9   |
| 7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან.....                                             | 10  |
| 8. ძირითადი საშუალებები .....                                                     | 10  |
| 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                                | 100 |
| 10. გრძელვადიანი სესხები .....                                                    | 100 |


ს მეგა

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის


თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                   | შენიშვნა | 2022<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------|----------|---------------------------|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 5        | 4,782                     |
| შემოსავალი                        |          | 4,560,290                 |
| სულ შემოსავალი                    |          | 4,565,072                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 6        | (804,058)                 |
| საქონლის თვითღირებულება           | 7        | (3,943,744)               |
| საოპერაციო მოგება                 |          | (182,730)                 |
| მოგების გადასახადი                |          | -                         |
| წმინდა მოგება/(ზარალი)            |          | (182,730)                 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის სახელით 2022 წლის 6  
სექტემბერს:

  
მანუჩარ ქობულაძე  
დირექტორი



  
ნათელა კუმბაშვილი  
მფარველი ბუღალტერი

პს „მეგა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               | 31 დეკემბერი<br>2022 | 1 იანვარი<br>2022 |
|-----------------------------------------------|----------------------|-------------------|
| შენიშვნა (არააუდიტირებული)                    | (არააუდიტირებული)    | (არააუდიტირებული) |
| <b>აქტივები</b>                               |                      |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |                      |                   |
| ძირითადი საშუალებები                          | 157469               | 180066            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>157,469</b>       | <b>180,066</b>    |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |                      |                   |
| სასაქონლო მარაგები                            | 2730967              | 2639702           |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 106924               | 35325             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9                  | 473095               | 583942            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>3,310,986</b>     | <b>3,258,969</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>3,468,455</b>     | <b>3,439,035</b>  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                      |                   |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 812698               | 995428            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           | <b>812698</b>        | <b>995428</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |                      |                   |
| გრძელვადიანი სესხები 10                       | 2131990              | 1771430           |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         | <b>2,131,990</b>     | <b>1,771,430</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |                      |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები    | 394898               | 601446            |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები               | 121390               | 70000             |
| სხვა ვალდებულებები 11                         | 7479                 | 731               |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            | <b>523,767</b>       | <b>672,177</b>    |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> | <b>2,655,757</b>     | <b>2,443,607</b>  |

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                             | გაუნაწილებელი<br>მოგება/(დაუფარავი<br>ზარალი) | სულ<br>კაპიტალი |
|-----------------------------|-----------------------------------------------|-----------------|
| (არააუდიტირებული)           |                                               |                 |
| ბალანსი 1 იანვარი 2022      | 995,428                                       | 995,428         |
| მიმდინარე წლის სრული მოგება | (182730)                                      | (182730)        |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2022   | 812698                                        | 812,698         |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

მეგა (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის 6 აპრილს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 412726046.

ძირითადი საქმიანობა. შპს მეგა-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქუთაისი თავისუფლების 19, ხოლო საქმიანობის ადგილია ქუთაისი ირაკლი აბაშიძის 21ა.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ინგა სოფრომაძე პ.ნ. 60001077681 ფლობს.

## 2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

### 2. მომზადების საფუძველები (გაგრძელება)

ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის შპს მეგას მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

**ძირითადი საშუალებები.**

☐ **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

☐ **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

☐ **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი               | სასარგებლო<br>მომსახურების ვადა |
|---------------------|---------------------------------|
| ტრანსპორტი          | 5-15                            |
| შენობა ნაგებობები   | 20-40                           |
| მანქანა-დანადგარები | 10-20                           |
| ოფისის აღჭურვილობა  | 2-10                            |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### არამატერიალური აქტივები.

□ აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

□ ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შედგავთების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- ☐ მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- ☐ არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

☐ ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

☐ საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

#### 5. შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს საბითუმო ვაწრობა სამშენებლო მასალებით

#### 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                  | 2022             |
|----------------------------------|------------------|
| ცვეთა და ამორტიზაცია             | (25,621)         |
| საპროცენტო ხარჯი                 | (88,544)         |
| ბანკის საკომისიო                 | (30,832)         |
| სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი | (659,061)        |
| <b>ჯამი</b>                      | <b>(804,058)</b> |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

|                                              | 2020            |
|----------------------------------------------|-----------------|
| უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების გადაფასება | (16852)         |
| უცხოურ ვალუტაში არსებული ფულის გადაფასება    | 157             |
| <b>ჯამი</b>                                  | <b>(16,695)</b> |

#### 8. ძირითადი საშვალეები

|                                  | ტრანსპორტი | შენობები-ნაგებობები | სულ      |
|----------------------------------|------------|---------------------|----------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>      |            |                     |          |
| ნაშთი 01-01-2022                 | 13,558     | 238.567             | 252.125  |
| შემოსვლა წლის განმავლობაში       | -          | 4113                | 4113     |
| გასვლა წლის განმავლობაში         | -          | -                   | -        |
| ნაშთი 31-12-2022                 | 13,558     | 242.680             | 256.238  |
| <b>ცვეთა</b>                     |            |                     |          |
| ნაშთი 01-01-2022                 | (7446)     | (64,613)            | (72,059) |
| ცვეთა წლის განმავლობაში          | (2,710)    | (24,000)            | (26,712) |
| გასვლა წლის განმავლობაში         | -          | -                   | -        |
| ნაშთი 31-12-2022                 | (10,156)   | (88,613)            | (98,769) |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |            |                     |          |
| ნაშთი 01-01-2022                 | 6.112      | 173.954             | 180.066  |
| ნაშთი 31-12-2022                 | 3402       | 154.067             | 157.469  |

#### 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება მოთხოვნები სხვადასხვა საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან დაგროვილი მოთხოვნით. თანხის დიდი ოდენობის მიუხედავად, კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები.

#### 10. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აქვს გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება სს. თიბისი ბანკთან და სს ლიბერთი ბანკთან